

572
1975

ՀԱՅԿԵՏՆԻ
ՇՆՆՆՈՐԹՅՈՒՆ



1975 ՆՅԵԸԸՅՇԸԸՆ 572

ԵՄՄԵ

გელა

მეჩი ფიჭინაძე

მთელი ღამე არ ეძინა,
ასევე შესეთ, როგორ დედას,
დღეს ზირველად, სულ ზირველად
სკოლისაკენ მიდის გელა.
უფროსმა ძმამ რომ შესედა,
გამოუტევა ლექსი ხელად:
— ჰეი, გელა, ხეშო გელა,
არც კი ხარო ჩანთისსელა!
დაინახეს შესობლებმა
და სიცილით დაწედა უფელა:
— ჩანთა გელას კი არ მიაქვს,
ჩანთას მიჰეაჯს თეითონ გელა!



უცნაური ნიშანი

გიორგი ხორვათაძე

ნახატი თაბაზ ხშიშვილისა

ჩვენი გიგლა სულის კანკალით მოვლოდა პირველ სექტემბერს.

— ისე კარგად უნდა ვისწავლო, სულ „ერთიანებს“ მიწერდეს მასწავლებელი!— კვეხულობდა გიგლა ბიჭი.

— ჰი-ჰი-ჰი!— ჩაიქირჩილა უფროსმა ძმამ— ზურიკომ.

— რას იტყვი, კითხვაც ვიცი და თვლაც!— ამაყად თქვა გიგლამ.

— მაგრამ ის არ იცი, რომ „ერთიანი“ ყველაზე ცუდი ნიშანია!

გიგლა ბიჭი ძლივს დაარწმუნეს, რომ „ერთიანი“ ყველაზე ცუდი ნიშანია.

ახლა იმაზე დაიქანდა გიგლა ბიჭმა, „ხუთიანზე“ ნაკლებ ნიშანს არ მივიღებო.

დადგა სექტემბერიც... გიგლამ პირველმა შეგალო სკოლის კარი, პირველ მერხზე გამოკვანწეს.

გიგლამ სიტყვა არ გატეხა და პირველივე ნიშანი „ხუთიანი“ მიიღო. სკოლიდან კი არ მოდიოდა, მოფრინავდა სახეზე ღიმილი ეძალეებოდა.

— რა გეცინება, გიგლა?— ეკითხებოდნენ შემხვედრნი.

— „ხუთიანი“ მივიღე, „ხუთიანი“!— სიამაყით პასუხობდა გიგლა.

— რა ნიშანი მიიღე, გიგლა?— ახლა სხვა ცნობისმოყვარე შეეკითხებოდა.

გიგლა მარჯვენა ხელის ხუთივე თითს გაშლიდა, მაღლა ასწევდა და ისე ანიშნებდა.

— უოჩაღ, გიგლა, უოჩაღ! მაგრამ, ამის გამო ტრაბახი და გაეკირვება არ შეგშენისო.— უთხრა ზურიკომ.

გიგლა თავისას მაინც არ იშლიდა:

— „ხუთიანზე მეტი რომ მივიღო, ხომ შეიძლება?!

— შეიძლება, გიგლო, შეიძლება...— ეშმაკური ღიმილით ეუბნებოდა ზურიკო.

გავიდა ერთი კვირა და გიგლა კიდევ უფრო გახარებული მოვარდა სკოლიდან.

— დედი, „ცხრიანი“ მივიღე დღეს!

— „ცხრიანი“?— გაიკვირვა დედამ.

— მაშ, „ცხრიანი“, დედიკო, „ცხრიანი“. სიცილი ძლივს შეიკავა დედამ

— როგორა, შეილო?!

— წერაში „ოთხიანი“ დამიწერა თამარა მასწავლებელმა და ზეპირში— „ხუთიანი“. ოთხს რომ ხუთი მივუმატოთ— ხომ ცხრაა.

დედას გაელიმა და აღერსით გადაუსვა ხელი თავზე.



1970

საქართველოს საბავშვო ლიტერატურის გამომცემი

ნასწავლო ბაჭია

ნოღარ შამინაძე



- კურდღელო, შვიდი აგერ გყავს, მერვე ბაჭია სად არის?
- ბუჩქში ზის კარგა ხანია, იქიდან არსად არ გადის.
- ბუჩქში მარტოკას რა უნდა, ამბობენ, ცელქობს ძალიან.
- სულ მუდამ წერს და კითხულობს, ცელქობისათვის სცალია?!
- წერა როგორღა ისწავლა, უსწავლელი ხართ ყველა შინ!
- კაქკაქმა კითხვა ასწავლა, კოდალამ გაწვრთნა წერაში.

მეგობრები

თაბაზ ზივია

გია, ნაბიკო და დედა საბავშვო ბაღში დადნან. ერთმანეთისათვის არც უთქვამთ მეგობრები ვიყოთო, მაგრამ სულ ერთად თამაშობდნენ და მეგობრები იყვნენ, აბა, რა?!

საბავშვო ბაღის ეზოში ნაყოფით დახუნძლული მსხლის ხე იდგა. მსხალი რომ შეყვითლდა, ძირს ცვენა დაიწყო და ბავშვები ხშირად იტკბარუნებდნენ პირს. ერთხელ რამდენიმე ცალი ერთად ჩამოვარდა. გიას უფროსებისაგან გაეგონა—ბიჭმა გოგონებს პატივი უნდა სცესო და ძალიან უნდოდა მეგობრებისთვის მსხლები თვითონ მიეწოდებინა. ამიტომ, სხვამ არ მომასწროსო, ფაცხაფუცხით გაექანა, მაგრამ, უნებურად, ნაბიკოს დაეჯახა. მერე, როდესაც მსხლები წამოაკრიფა და შემობრუნდა, დაინახა, რომ ნაბიკოს მუხდზე ხელები შემოეხვია და ტირილდა. დედაც მის გვერდით ჩაცუტქუდივით და მტკივანად გიღბე სულს უბერავდა.



გიას სურნელვანი ყვირთვით მსხლეტი ხელში
შერია. აღმზრდელმა მასწავლებელმა დატუქსა:

— არა გრცხვენია, მსხლის გულისთვის, მეგობარი წააქციე და ფეხი ატკინე!

გიას ქვედა ტუჩი თანდათან გამოებურდა და ნიკაპი აუთრთლდა, მკერდზე მიკრულ მსხლებს ხელი უშვა და აბღუჭუნდა.


ბავშვებმა გაიცინეს.
ღელას შეეცოდა მეგობარი:

— მასწავლებელი, გია შემთხვევით დაეჯახა ნაზიკოს. მსხლები მარტო თავისთვის არ უნდოდა.

— თუ ასეა კარგი ბიჭი ხოფილხარ, მაგრამ მეგობრებს უფრო ფრთხილად უნდა მოვუპრო, — უთხრა მასწავლებელმა გიას და თავზე ხელი გადაუსვა.

— უკვე არა მტკივა, — გამოიდარა ნაზიკომაც. გიას ძალიან უსიამოვნა გამოსარჩლება. ტირილი შეწყვიტა და დარცხვენილმა გაიფიქრა: რა კარგი მეგობრები მყოლიაო.

ნახატი თამარ ხაშიშვილიან



გიორგი ნაკათალი

- ჩემო გონა, რას ატეხ?
- რას უატეხ და უჩინვალატესსა!
- ტესს თუ წუვალი არ უქნა,
ისე როგორ ივარტებს?

უწულა ადგილებია,
აქ ატეხა არ ღირდა!
— ნუ იღარღებ, მძობილო,
წუვალს მოვითუვან არსითა.

ნახატები თამარ ჩიჩინაშვილისა



ღელა

ჭინჭველამ უთხრა წიწილს:
— ძელა მუნსუ ძლიერთა,
სომ იტირებ,
ღელაძენი
რომ შეუღანაოს იმ ძელიამ?
კუნა მოძეცი:
ტვირთი მიძატეს,
ძეც შეიღები მიძელიან.



მანქანთქება



ლავით ჯავახიშვილი

ნახატები ომარ მუსხისა

ერთხელ, ერთ ქალაქში. თურმე მანქანების დიდი გამოფენა მოუწყვიათ. რა სახისა და დანიშნულების მანქანა გინდათ, რომ აქ არ ჩამოეტანათ: საკრეკო თუ საპარსი, სატრეკი თუ საკერავი; ხორცის საცეპი თუ ჩაის საკრეფი და კიდევ ბევრი სხვა. ამბობენ, ერთს ადამიანის შესახედობადაც კი ჰქონია და სიარულიც მარდი შესძლებია.

უმაზავი ხალხი ჩამოსულა გამოფენის დასათვალიერებლად. ყველა ერისა და ფერის ადამიანს შეხედებოდათ აქ. იყო თურმე ქალაქის ქუჩებში ერთი რიარია და აყალმაყალი, დილიდან—ვიღრე არ დაღამდებოდა.

ბოლოს, რა თქმა უნდა, დაღამებულა, ჩამქრალა ქუჩებში ლამპიონები, ჩამქრალა ქაღალბიკ საგამოფენოდ გამზადებულ ვრცელ დარბაზებში. ყველგან სიბნელე და სიჩუმე ჩამოვარდნილა.

აქ იწყება სწორედ ჩვენი ზღაპარიც, რადგან ზღაპარს, მოგეხსენებათ, არც ზედმეტი ხმაური უყვარს და არც ელექტრონის ჩახჩახა შუქი.

ეძინა ქალაქს. ეძინა მზეს. ზებუფურად ეძინათ ხეებს. მხოლოდ ცნობისმოყვარე მთვარე ფხიზლობდა ქალაქის თავზე და ჩაბნელებულ ფანჯრებში უსირცხვილოდ იტყუებოდა.

და აი, თუკი მას დაეგვრება, იმ ღამეს თურმე მანქანებსაც არ სძინებიათ: მთავარ საგამოფენო დარბაზში შეკრებილიყვნენ, წრე შეეკრათ და ცხარედ კამათობდნენ.

კამათი თმის საკრეკო მანქანას წამოუწყია:

— არ გეწყინოთ, ძმებო, მაგრამ ჩემზე უფრო საჭირო თქვენში არაივნ მგეულება!— უთქვამს თურმე,—მე რომ არ ვიყო, ადამიანი ერთ თვეში ისევ მაიმუნად გადაიქცეოდა. მაიმუნის გაადამიანებას კი ათასობით წელი დასჭირდა...

— დღეს თმის გაკრეკვაზე მაინცდამაინც ბევრი აღარაივნ ზრუნავს,—ახმაურებულა წვერის საპარსი მანქანა,—ის კი არა და, სავარცხელსაც აღარ ხმარობენ. აი, უჩემობა





კი მართლაც სრულიად წარმოუდგენელია, თვითონ განსაჯეთ: გაუპარსაობა ზომისედაა ვე უზრდელობაა, როგორც ფურთხება ან, ვთქვით ხელით ცხვირის მოხოცვა?!

— კაცს გააჩნია, თორემ ზოგი ცხვირსაც იხოცავს და უარესსაც სწადის!—გაცხარებულა სარეცხი მანქანა.—გაუპარსაობა კი არც თუ ისე დიდი ცოდვაა. ამა გაიხსენეთ, რამდენ სახელოვან ადამიანს ამშვენებდა წარსულში წვერი?! ქუჭკი კი მართლაც არავის ეპატიება! უჩემოდ ადამიანს ტანისამოსი ზედ შემოაღებოდა!

— საინტერესოა, რომელ ტანისამოსზეა აქ ლაპარაკი?—დამცინავად ახრილებულა საკვრავი მანქანა,—მე თუ არ შევეკრე, რა შემოაღებოდა ტანზე ადამიანს?! ან ნეტავ ვიცოდე, რას გარეცხავდით? ვერაფერს! ჰოდა, იფილდა ქვეყნად ტიტლიკანა ხალხი. იფ, რა სანახაობა იქნებოდა!

— რატომაც არა?!—აფუგუნებულა პურის ამღები მანქანა,—ხომ იყო დრო, როცა ადამიანი შიშველი დადიოდა?! დღესაც ივლის, თუ გაუქირდა. მაგრამ მშვიერი დიდხანს ვერ გაძლებს. მე რომ არ ვიყო, კაცობრიობა ამოწყდებოდა! ნამგლითა და ცვლით გლვხმა იმდენი აბა, რა უნდა მომკას, რომ თვითონაც იმყოფინოს და ამოდენა ქალაქები პურით დააძლოს?

— ავიწეებია პური და პური! ვითომ სხვა საკმელი არაფერი იყოს!—ხმა ამოუღია ხორცის საკვებ მანქანას,—ხორცი რა, პურზე უგემურია თუ ნაკლებად სასარგებლო?!

— მერე და, შენ რა შუაში ხარ?—შედავება პურის ამღები მანქანა.

— სწორედ შუაში ვარ! მაშ ვისაც კბილები არ უფარვა, იმან რაღა ქნას?

— რა ქნას და კბილებს მოუაროს! სხვარის მაქნისი ვარ?!—უთქვამს კბილის საბურღ მანქანას.

— თუ არა და ჩაი უნდა სვას!—სიტყვა ჩამოურთმევია ჩაისმკრეფ მანქანას,—ნუთუ გაზეთებს არ კითხულობთ? ჩაი ხომ სიცოცხლის ვლექსირი და ჯანმრთელობის უზრეტი წყაროა! უჩემოდ კი ჩაის კრეფა მიმიგ შრომაა!



— არც ძროხის წველაა იოლი საქმე! — გაბუტულა საწველი მანქანა, — ხოლო რძე რომ ჩაიზე უფრო მარგებელია, ამას გაზეთების კითხვა არ უნდა, ისედაც ცნობილია.

— თქვენ რომ ვინმემ ყური დაგვდოთ, ფგონება, კაცს ჰამისა და ჩაცმის მტერი არაფერი ესაქირაობა! — აღშფოთებულია საბეჭდი მანქანა, როგორც ჩანს, არც იცით „სულიერი საზღვარი“ რას ფეხდებდა! რასა და, — წიგნს, ყურნალს, გაზეთს... მერე და, რომელ თქვენგანს შეუძლია ბეჭდვა, რომელი გასწევთ, ნეტავ ჩემს მაგიერობას?! —

— წარმოიდგინეთ, დღეს უწიგნოდაც მშვენივრად ძღვებს უმრავლესობა, — უთქვამს ავტომობილს. — რა თქმა უნდა, ჩემი წყალობით! ჩაეისვამ ადამიანს, მოვატარებ ქვეყნიერებას, ყველაფერს თავის თვალთ ნახავს... რაღად უნდა წიგნი? ისეც არ იყოს, უჩემოდ ხალხი ფეხით სიარულისაგან დაიხორციელობდა..

აქ კი, თავი ვეღარ შეუკავებია და, კამათში ვგებერთელა გამომთვლელი მანქანაც ჩარეულა. ათასფრად აციმციმებულია მისი უამრავი თვალი, დიდხანს უჩხაკუნიათ ხრახნებსა და ჰაქეჩებს მის ოთხკუთხა მუცელში, ბოლოს გაჩუმებულია, დაუღია პირი და ქალაქის ვიწრო, გრძელი ვნა გადმოუგდია. აი, თურმე, რა ეწერა ზედ:

„სისულელეებს ჩმახათ, ჩემო უმცროსო

ძმებო! მეცა და თქვენც ადამიანმა სწორედ იმიტომ გამოგვიგონა, რომ მისთვის ყველაფერი საქირო ვართ. გამოუსადეგარი ჯერ არავის გამოუგონია რამე და არც მგონია, თუ ვინმე როდისმე გამოიგონებს. ნუ გავიწყდებათ კიდევ ერთი რამ: საქმარისა თითო ხრახნი ამოგვაცალოს კაცმა, ან ბენზინი არ ჩაგვასხას ხახაში ზოგიერთებს, და ჩვენი თავმომწონეობისაგან არაფერიც აღარ დარჩება: თანგი შეგვკვამს! ჯართის უსარგებლო გროვალ ვიქცევით! გვახსოვდეს ეს, მანქანებო! გვახსოვდეს და ყველამ თავის საქმე ჩუმად ვაკეთოთ, რაც შეიძლება — ჩუმად, თორემ ჩვენი ხმაურისაგან ლამის შეიშალოს დღეს საბარალო კაცობრიობა.

ასეთია ჩემი საბოლოო დასკვნა, ხოლო მე, სხვათა შორის, ჰაღრაკის თამაში მგებრებება, ისე რომ, ჰკუაში თქვენ მე ვერასოდეს გამეჯიბრებით“.

კამათი, თურმე, ამით მოთავებულა, დარცხვენილ მანქანებს ყურები ჩამოუყრიათ. ბნელ კუნძულებში მიმალულან და დარბაზებში დილამდე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდნილა.

დილას კი, როცა გამოფენას უამრავი ხალხი სწევია, გამომთვლელი მანქანის ბრძნული აზრი თურმე ზედმიწევნით გამართლებულია და დამთვლიერებელთა მიერ არცერთი მანქანა არ დაწუნებულია.



მელა კახიძე

ცხვარი

გათამამდა ცხვარი
ბევრი ქება-ქებით.
დაიბრუნევა ეკა,—
დაატაკა რქები.



ნახატები შუი უგულავესი



მთელი ღამე
დარჯობდა
ბაღრა-ბოსტანს
ძალი.
ახლა წევს და
მშეზე
ეთვლიმება
დალილს.

არ გეშინია?

იხვო ბაჯბაჯავ, მიწაზე
დადხარ ვაინაჩრობით.
წყალში რომ ცურავ
მთელი ღღე,—
არ გეშინია დახჩობის?!



კატა

— რას აკეთებ მთელი ღღე
ფისუნია კატა?
— რას და რძე და მაწონს
ფეხდგომელა ვსლაპავ!

ყოჩალი ეკა

ცვირსაბოცი გავრეცხე
ლამაზად და
სუფთად,
ხვალ პირსაბოცს
გავრეცხავ
ზეგ გავრეცხავ
სუფრას.



მარწყვი

მარწყვის საკრეფი
კალთა
კახამ დამიწნა
წნელით,
ახლა ვსხედვართ და
ორივე
მარწყვის
შემოსვლას ველით.



ტაძინ-მანქანა

ეზოში შემოაქენა
კახამ მანქანა-ტაქსი.
ეკა უელს უწევს
კახა-ბიჭს:
— შენს მანქანაში
ჩამსვი.
ჩემი ბებიას
სოფლამდე
კილომეტრია ასი.
ჩამსვი და ბებოკონასთან
ჩამარბენინე წამში.




ძათამი

სულ რომ ფეხით გაქეძე,
ნაგვი თუ ნათესი,
მითხარ, კრელო ქათამო,
რა დაკარგე ასეთი?!

თამუნია მხატვარი

თამუნია-თამუნა
მხატვარია ნამდვილი,
გუშინ ცხვარი დახატა.
ბზო დახატა ამ დილით.
ახლა პაპა ზაქარას
ხატავს სახედრიანად,
მერე ეკას დახატავს—
თავის ბაფთებიანად.



ნუშის ტოტი

იციო? ჩიტებმა ხეზე
რაზე ატეხეს შფოთი,
თამუნას მოუტეხია
ნუშის
ღამაზი ტოტი.

კ. წიკელას სტ. წიკელას
საქალაქმფლო. ქ. თბილისი
ბედილიძის ქ.

ყოჩალი ბიჭები

მარი პარამივილი

მიტოს, მიხოს,
მე და გიას
ყოჩალ ბიჭებს გვეძახიან.
— მაინც რაში ვიყოჩალეთ?
— მობრძანდით და თვითონ ნახეთ!
ჩვენი ბალი, ჩვენი ეზო
რარეც აყვავებულია,
ამ ნერგებმა თუ იხარეს—
ჩვენი გახარებულია.
ამ ხეებს და ამ ყვავილებს
ყოველ დღით ვრწყავთ და ვუვლით.
შეგვიყვარეს უფროსებმა,
რადგან შრომა გვიყვარს გულით.
ყველას მოწონს, ყველა ხარობს,
ვინც ამ ბაღში დააბიჯებს,
აი, რისთვის აი, რატომ
გვეძახიან ყოჩალ ბიჭებს.



ღერის ვანსაძემღვი

ლილა პარამი

ეს ვინ არის ნეტავ
ასე სასაცილო?—
ვინ არის და ჩვენი
მეზობელი ნინო.
გადაუცვამს ჩუმად
ღვინის ქრელი კაბა,
ღვინის ფეხსაცმელიც
„მოურგია“ სწრაფად.
მოპრაკუნობს წელა,
მოდის ტანის გრებით,
ფრთხილად, გოგო, კაბას
არ დაადგა ფეხი!

ნახატები მანანა მორჩილაძისა



ალიზაბედ იოსელიანი

ნახატი ვახანგ ბუნიშვილისა

ერთ ქალაქში, ბაზრის შესასვლელთან, ბრძენი მოხუცი იღვა და ბეჭედს ჰყიდა. ბეჭედის თვალზე ადამიანის ფიგურა იყო ამოკვეთილი და ასეთი წარწერა ჰქონდა: „არასოდეს დაივიწყო ადამიანობა“.

— რას ჰყიდის?—ჰკითხა ერთმა ქაბუკმა მოხუცს.

მოხუცმა ანახა, რასაც ჰყიდა.

ქაბუკმა ბეჭედი დაკვირვებით შეათვალიერა და ბოლოს დაღონებულმა პატრონს უკან დაუბრუნა:

— მთელი ბაზარი შემოვიარე და რისი ყიდვაც მამამ დამავალა, მინც ვერსად ვიშოვეო.

— რა დავავალა ასეთიო?—დანიტერგსდა მოხუცი.

— რა ვიცი, ისეთი რამე იყიდე, იმისი არც დაკარგვა შეიძლებოდეს, არც ძალით წართმევას.

— მაგნირი ვს ბეჭედიო,—უთხრა ბრძენმა.

— მაგ ბეჭედის დაკარგვაც შეიძლება და წართმევაც!—მიუგო ქაბუკმა.

— სამაგიეროდ მასზე ამოკვეთილი წარწერა შეინახე გულის სიღრმეშიო.

ქაბუკს ქუაში დაუჯდა მოხუცის სიტყვები. იყიდა ბეჭედი და შინისაკენ გზას გაუღდა.



პირი იმედით?

მარი გოლჭვაძე

ნახატები მანანა მოჩილაძისა



თინიკო და ნინო გაიბუტნენ. რაზე? თვითონაც არ ახსოვთ. ოღონდ, რომ გაიბუტნენ, ის აღარ დავიწყებიათ. დღეს თინიკო დედასთან ერთად სადღაც ვაემგზავრა; როდის დაბრუნდებოდა, არ უთქვამს. აბა, გაბუტულ ამხანაგს ანგარიშებს ვინ ჩააბარებს?!

ჩამიჩუმე აღარ ისმის იმათ მხარეს. აივნის მოაჯირზე კი ვარდი ღვას დიდი ქოთნით და პირდაპირ ნინოს უყურებს! თინიკომ შეშოღვა ალბათ. „ნეტაუი ვისი იმედით დატოვა? უწყლოდ რა გააძღვინებს ამ შუა ზაფხულში! მთელი თვეა წვიმაც არ მოსულა.“

— ნინო! — დაუმახა თინიკოს ვარდმა, — წყალი დამასხი! ნინო!

— რაო? წყალი დამასხიო? — ნინომ ცხვირი

აბზიკა, — არაფერსაც არ დავასხამ! — ჩემს ვარდსაც ძლივს ვუვლი.

— ალბათ ვამეხუმრა, — გაეცინა ვარდს...

— ნინო! — ახლა მეორე დღეს დაუმახა, — შენ ვარდს რომ უსხამ წყალს, ჩემთვისაც გაიმეტე..

ნინოს ვითომც არ ესმის!..

— ეე, ნინო აღარ ხუმრობს! — ჩაიჩურჩულა წყენით თინიკოს ვარდმა და დაღონებულია თავი დახარა...

ნინოს ვარდი, ამდენი მოვლა-პატრონობით განებვირებულნი, გაბადრული მთვარესავით ღვას, თინიკოს ვარდს კი წყურვილი ჰკლავს.

— რა დღეშია! — ეცოდება თინიკოს ვარ-

დი ნინოს ვარდს.—წადი ჩიტო, ცოტა წყალი
შენ მაინც მიუტანე!—დაუძახა ჩიტს.

ჩიტი გაფურინდა; ერთი წვეთი ძლივს ეტე-
ვა ნისკარტში; განა რამდენჯერ უნდა მიი-
ტანოს, რომ ვარდს ეყოს.

— წადი.—ახლა სიოს სთხოვა ნინოს ვარდ-
მა,—ცოტა დაუჭროლე, ძალიან ცხელა!

სიო ისეც არ შორდებდა თინიკოს ვარდს:
თავზე ევლებდა, ეფერებდა, უნდა ცოტა სიგ-
რილე მოჰგეაროს, მაგრამ თვითონაც მზისა-
გან გამთბარმა სიომ რა უნდა ქნას!

— ოჰ, ეს წვიმაც სად დაკარგულია!—
ქოთქოთებს ჩიტი. მერე ნინოს სიომ დაუ-
ძახა:

— ნინო, გეყოფა ხუმრობა! შენ და თინი-
კომ თუ იჩხუბეთ, ვარდი რა შუაშია.

მერე ჩიტმაც რომ უსაყვედურა, ნინო შეეც-
ბა, დარცხვენილმა ამოიოხრა და წყლით
საესე დოქს ხელი დაავლო. თინიკოს აივანზე
სულმოუთქმელად აირბინა.—ოოჰ!—აღმოხ-

და ნეტარებით თინიკოს ვარდს, როცა წინა-
ნომ მთელი დოქი წყალი თავპირზე დაეხვეწა...
ქივლა. ქოთანში მიწა წყლით გაბუთბუთდა...
ვარდი ნელ-ნელა წელში გასწორდა, ფერზე
მოვიდა, მოიხედა...

— შენ გაიხარე, ნინო!—ჩურჩულებს თი-
ნიკოს ვარდი...

ახლა თინიკოს ვარდიც ნინოს ვარდივით
გაბადრული დგას...

— ალბათ წვიმები იყო?!—უთხრა დედას
თინიკომ, როცა შინ დაბრუნებულს ალაქლა-
ყებულმა ვარდმა შესცინა.

— წვიმა მარტო ჩვენს ქოთანში ხომ არ
მოვიდოდა?!—თქვა დედამ.

— წვიმის გარდა არავისთვის ჩამიბარე-
ბია დაშ!— გაიკვირვა თინიკომ და თან ცა-
ლი თვალი ნინოს აივანისკენ გაექცა.

დედამ გაიღიმა:

— დაილოცოს კარგი მეზობელი, რა ჩა-
ბარება უნდა, თვალები აქეთ და გული!..



პაპანი პაპიანი

ერთ კირკიტა ბიჭს, ობოლ სერგუნკას, ბაბუა ზრდიდა. ყველაფრის გაგება სურდა სერგუნკას, ყველაფერი აინტერესებდა.

დილით ბიჭუნამ შეამჩნია, რომ ფეხსაცმელი დაწეოდა და ძველი ტანისამოსიც აღარ რგებდა.

ნახატები ზურაბ ქაპანაძისა

— წამო სერგუნკა, ზღვისპირზე წესიერი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი მოვნახოთ, — უთხრა ბაბუა გორდემი.

— ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს ვანა ზღვისპირზე ეძებენ? — პკითხა სერგუნკამ ბაბუას.



— წავიდეთ, იქნებ ჩვენ ვნახოთ. წავიდნენ.

— აბა, შეხე, რამდენი ჩექმა, ხალათი, შარვალ და ქუდეები გამოღურიყავს ტაღლებს ნაპირზე. მიდი, ტომარაში მოაგროვე! — ამბობს ბა-

ბუა გორდემი და არც ელიმება.

— ეს ხომ ნიუარებია, ბაბუა, ამას როგორ ჩაიცვამ?

— შენ მოაგროვე, მერე მიხვდები!

ორივემ თითო-თითო ტომარა ნიუარებით



გავსო, შინ მოიტანეს, მოხარშეს, კარგად გა-
პოასუფთავეს და ლიეზბის კეთებას შეუდგნენ.
ბაბუა თრის, სერგუნკა აკრიალებს. ბაბუა
ხერტს, სერგუნკა ბეჯითად აკრებს ქალაღზე.
ხალისიანად შრომობენ... კარგი ლიეზბი გამო-
ვიდა, მსხვილები, ეღვარე. ქალაქში წაიღეს, დუ-
ქანს ჩააბარეს და მიღებული ფულით ჩექმები,
ქული, ხალათი და შარვალი შეიძინეს, ფული ცო-
ტა შეაქრისა, პურისა და ახალი სახვერტელას
საყიდლად ეყვოთ...

ბაბუა კარგ ხასიათზე იდგა. მხიარულობდა,
ჩიბუბს იქნევდა და სერგუნკას ეუბნებოდა:

— აი, ხოი ხედავ, სერგუნკა, რა სიკეთე გვი-
ყო ნიყარებმა!

ჩაფიქრდა კირკიტა სერგუნკა და ბაბუას
ჰკითხა:

— ეს როგორ მოხდა, რომ ნიყარები ახალ
ქუდად, პერანგად, ხავერდის შარვიად და ჭრაპუნა
ჩექმებად გადაიქცა?

— ფასი დაეღო,—მიუგო ბაბუამ.

— როგორ დაეღო ფასი?

— ვერ გეტყვი... იცი რა, მოდი, ქვისმთელ-
თან გადაირბინე, საუკეთესო ჩუქურთმებს აკე-
თებს. ის გეტყვის...

სერგუნკა ქვის მთელს მიადგა. სთხოვა: ამი-
სენი, საგნებს ფასი როგორ ედებოდა.

ქვისმთელიმა მიუგო:

— სანამ შენ თვითონ არ დაიწყებ ქვის
თლას, მაგას ვერ გაიგებ.

სერგუნკას ძალიან უნდოდა, გაეგო ყველაფერი
და ქვის თლა დაიწყო.

ქვი მთელიმა სერგუნკას ასწავლა, თუ როგორ
გაეწეობოდა ქვის გვერდები:—მშენებლებისთ-
ვის ყოველი ქვა კი არ გამოდგება, თავისი ზო-
მა უნდა ჰქონდესო.

ხოლო, როცა მრგვალი სვეტების გამოთლა
და ზედ ჩუქურთმების გამოყვანაც შეძლო, სერ-
გუნკა თვითონვე მიხვდა ყველაფერს. მიხვდა და
ბაბუასთან გაიქცა.

— ქვისმთელიმა ვისწავლე, ბაბუა, ქვიდან
ვეფხვებსა და ღომებს ვაქანდაკებ. აი, შენ კი
იასპის ლიეზბი გამოგჩრუქურთმე. აჰა, აილე!

უყურებს ბაბუა ლიეზბს და ცქერით ვერ გამძ-
ლარა, ერთიმეორეზე უკეთესია.

— კარგ ფასს მოგცემდნენ, რომ გაგვეყიდა
უთხრა ბაბუა გორდემ და მერლა გააბედა
რისთვისაც ვაგებავა,—გამოაკითხე ბოლოს და
ბოლოს, საგნებს ფასი როგორ ედებო?

— არა, ბაბუა, კი არ გამოვოკითხე, ვიმუ-
შავე და თვითონ გავიგე. ფასის საიღუმლეობა
ხელებში ყოფილა. საგნებს ფასი ადამიანის მარ-
ჯვენით ედება, მშრომელ მარჯვენას ჰქონია ფასი.

ასე მიაგნო სერგემი ფასის ღირ საიღუმლეო-
ბას და ახლა, რასაც შეხედავს—სახლი იქნება,
მაგიდა, მოხატული ქსოვილი, ქვავის პური თუ
ლიეზბი—ყველაფერში ხედავს კაცის შრომას.

თარგმანი **ოთარ ხაშიშვილი**



პ. ხოს

ნახატები გიორგი უნაგულისა

განდგანა

გელა შუბლაძე

როგორც სიო—
გაქცეული
სანაფარდოდ
მთიდან ბარად,
როგორც ზღვისფერად
დარწული
თვალუწვედნი ლურჯი ყანა,—
ჩაწნული და
ჩაბვეული
ცეკვა ვიცი
განდაგანა.



ღელე

ვიწრო, ვიწრო ზოლად
გაქიმული ღელე
და ჩუხჩუხით მოსდევს
გორაკებს და ველებს.
მზით დასიცხულ ბოსტანს
ცევ წყალს მიაშველებს;
მერე ღარის წისქვილს
ტკბილად აამღერებს...

საბავშვო ბაღში


შიქარია ქაჩიოვანი

დილით ბაღში წაიყვანეს:
ეკა, მაკა, ლეო,
მღერთან და ხტუნაობენ
დივლი-დალაღეო...

ეკა—მღერის,
მაკა—ცეკვავს,
დოღზე უკრავს ლეო,
ცეკვაში და სიმღერაში
მიილია დღეო.

ნახატები გიორგი უნაგულისა





თავსაგახი

ცარიელი უჯრედები შეავსეთ სასწავლო ნივთების სახელწოდებებით ისე, რომ წითელ უჯრედებში მიიღოთ სიტყვა „ფრიაღოსანი“.
 შეიღვინა ხაშურის რკინიგზის სკოლის მოსწავლემ რამაზ ჭანკოტაძემ.

აზოცანა
 ჯოღამ ბუსხარში შებრაწა
 სიმინდის ათი ტარო.
 ორ-ორნი და-ძმებს მართოვა:
 ბიბინას, ბითუს, დაროს;
 სამ შექოსწრებულ უმსწვილსაც
 უბოძა თითო-თითო.
 აბა, მითხარი, გეტყუვა,
 რამდენი დარჩა თვითონ?
 შოთა აშიკანაშვილი

შეიღვინა მეცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის სკოლის მოსწავლემ ლალი ხარუაშვილმა.

საქუსი



ქა




“

ჭ



პოუ



ს

შთავარი რედაქტორის მაგიერ იტრახე ვანერბაღშიც

სარედაქციო კოლეჯი: კუპური ვოვბაჟილი, ლილია ბრამი, მუხრან მახაბარიანი, მავალა მამ-ლინიანი, ჯიჟიკა მუჯირი, ვიოჩი რიშინიანი (სამ რედაქტორი), რომარტ ლარიაშვილი, იმედი მალაძე.

საქ. აღკ. ცე-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პილწერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფრანალი ცდაზე წაბტი თინდირი სამსონაძისა. გამიცემის 48-ე წელი.

ტექნედაქტორი მინდი წარითალი


მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ.: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; ქ/შე მღენის—93-10-32, 93-98-17; სამ რედაქტორის—83-98-18; განყოფ.—93-98-19; სამღენისი—93-98-16.

ვალეტი: მსწავლელ 17/VI-75 წ., ზელმოწერილია დასაბეჭდად. 25/VIII-75 წ., ქალკლის ზომა 80×90, ფ. ნაბ. ფურტი, 2მ, ტირილი 169.700. შედა. № 2474. „დიალა“ № 9. რა გრუზიკომ ვაჟკე. ფაბი 20. კაბ.

საქ. კე ცე-ის გამომცემლობა
 იადატელსთო
 ЦК КП Грузии

6 67/166

შაპარბინეთი მუთხარობა



Handwritten text: 101 = 10 2/ - 6